დრ. შენგელ ჭოჭუა

ახალგაზრდობის პრობლემები და თვითმყოფელობა

بسم الله الرحمن الرحيم

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1590
ჯიბის წიგნები:137

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/23

ISBN: 978-605-7519-42-9
2019-06-Y-0003-1590
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა
Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.
+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ახალგაზრდობის პრობლემები და თვითმყოფელობა

დრ. შენოლ ჯოჯუთ

თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი
რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

I. ახალგაზრდობა და ახალგაზრდების პრობლემები • 9

II. ზოგადად თვითმკვლელობის შესახებ • 16

III. ახალგაზრდული პრობლემები და თვითმკვლელობა • 23

1. თაობათა შორის უთანხმოება, როგორც ახალგაზრდობის პრობლემა • 23

2. ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორც ახალგაზრდობის პრობლემა • 25

3. შფოთვა, როგორც ახალგაზრდობის პრობლემა • 28

4. კომუნიკაციის მექანიზმები, როგორც ახალგაზრდობის პრობლემა • 33

5. პესიმისტური განწყობა • 35

6. აზარტული თამაშები • 38

7. მრუშობა • 40

8. უიმედო სიყვარული და ახალგაზრდობა • 40

IV. ახალგაზრდობის პრობლემები და თვითმკვლელობა ისლამის პირობები • 42

1. ახალგაზრდობის პრობლემები და ღმერთის რწმენა • 42

2. ახალგაზრდობის პრობლემები და საიქიოს რწმენა • 47

3. მონანიება • 48

4. „თევექქული-სასოება“ • 51

5. მოთმინება • 54

დასასრულს • 56

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგ-ვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრე-ბა პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირ-სებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმ-ნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადო-ებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არ-სებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოე-ბის მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრე-ბა. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს და-ბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სო-ციალური უთანასწორობა, არათანაბარი პი-რობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიე-რი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებე-ბი, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლე-ბისა და სამართლიანობის სფეროში, ისტო-რიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყვე-ლაფერს ემატება ადამიანებს შორის დია-ლოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებ-ლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებე-ლი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფ-
ლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი
ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავე-
ბა და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმე-
დითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ
ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ
ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებე-
ბით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან,
ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ
და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭვე-
ლია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდე-
ნიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კა-
ცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების გან-
ვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქო-
თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობი-
სათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკო-
მანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მს-
გავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგი-
ის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია
საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედრო-
ვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმი-
სო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლი-
ოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების
მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-
ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შესავალი

I. ახალგაზრდობა და ახალგაზრდების პრობლემები

ახალგაზრდობა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სათუთი პერიოდია. უპირველესად, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ადამიანი სამყაროს აღქმის წერტილშია. გონებრივად ჩამოყალიბებისა და აზროვნების ფორმების განვითარების კვალდაკვალ ადამიანი სამყაროს მოქმედებას ეცნობა. ადამიანი ამ დროს ეცნობა სამყაროს, დედამიწას, ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს და სხვ.

ახალგაზრდობის პერიოდში ადამიანი აღიქვამს იმ ფიზიკურ და სულიერ თვისებებს, რაც ღმერთმა უბოძა. ამასთანავე ხდება მომწიფება და უჩნდება პასუხისმგებლობა. გამომდინარე აქედან, ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით პიროვნებად ჩამოყალიბების საკითხში, ადამიანს თავისუფლების არეალს უხსნის.

ამ ეტაპის შემდეგ ახალგაზრდა ადამიანი ვალდებულია რელიგიური ვალდებულებები შეასრულოს, აღავლინოს ღვთისმსახურება და განასხვავოს ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი.

ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ადამიანი როცა სიკეთეს აკეთებს ეს კარგია და სათანადოდ დაფასდება, რადგან მას შეეძლო ბოროტებაც ჩაედინა. ღმერთმა ადამიანს მრავალი არჩევანის და ალტერნატივის საშუალება უბოძა. ამ მრავალფეროვანი ალტერნატივების არსებობის დროს კარგის და სასიკეთოს არჩევა,

ბუნებრივია უფრო გონივრული და აზრიანი ქცევაა. ბოროტების შესაძლებლობის არსებობისას სიკეთის გაკეთება მართლაც სიკეთეა. გამომდინარე აქედან, ისლამის ძირითადი წყაროების, ყურანისა და სუნას მიხედვით ახალგაზრდობის პერიოდი და ახალგაზრდობისას გაკეთებული სიკეთე განსაკუთრებით დაფასებულია. შესაბამისად, ახალგაზრდობაში გაკეთებული სიკეთე და მადლი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მოხუცებულობაში გაკეთებული.

ახალგაზრდობაში, მთელი რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დაავადებების, მავნე ჩვევების და ბოროტების ჩადენის უფრო მეტი ალბათობა არსებობს. ახალგაზრდობაში უფრო მეტი საფრთხეა საიმისოდ, რომ ადამიანმა მიეჩვიოს ალკოჰოლს, ნარკოტიკს, აზარტულ თამაშებს და სხვა რელიგიურად აკრძალულ ქმედებებს. მითუმეტეს, ახალგაზრდობაში შეძენილი მსგავსი ტიპის მავნე ჩვევა შესაძლებელია პიროვნებას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვეს.

საზოგადოების ტრადიციული სტრუქტურა, ოჯახური ინსტიტუტი და წესრიგი და ახალგაზრდული ენერგიულობა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება. ამის შედეგად ხშირია თაობათა შორისი ბრძოლა და საზოგადოების მიღმა დარჩე-

ნისა თუ მეამბოხეობის მაგალითები, რაც ახალგაზრდობის პერიოდს ხშირად ახასიათებს.

როცა მდგომარეობა ასეთია, არსებობს მრავალი მოსაზრება და დაჯგუფება, რომლებიც რელიგიურ წესებს და სამყაროს წესრიგს კრიტიკის თვალით უყურებენ და მათი მოქმედების სფერო და მიზანი, სწორედაც რომ ახალგაზრდა ადამიანების გონებაა. ამგვარი დაჯგუფებები და მიმდინარეობებია სატანისტური დაჯგუფებები და სხვა მსგავსი მისთანანი. ამგვარი გაუკუღმართებული მიმდინარეობები, როგორც წესი ახალგაზრდებს აძულებენ სამყაროს მიმდინარე წესრიგს და დედამიწას მათთვის გაუსაძლის, ქაოსურ ადგილად წარმოაჩენენ. ამგვარი ქაოტური აზროვნება ახალგაზრდა ადამიანში დამანგრეველ გამოვლინებებს იწვევს და თვითმკვლელობისკენ უბიძგებს მას. ამ სავალალო პროცესს თუ დავაკვირდებით ადვილად მივხვდებით, რომ ახალგაზრდები ამ კრიტიკულ პერიოდში, მიუხედავად თავიანთი ენერგიისა და სიცოცხლისუნარიანობისა, სინამდვილეში შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლესთან წვრილი ძაფით არიან დაკავშირებული.

ზოგიერთი სპეციალისტი, რომელიც ამ კონკრეტულ სფეროშ მოღვაწეობს, აღნიშნულ პერიოდს სხვადასხვა ეტაპად ყოფს

და ისე განიხილავს. ბავშვობიდან გარდატეხის ასაკში შესვლის პროცესში ამგვარი პერიოდულად დაყოფა ჩვენი სარწმუნოების მიხედვითაც ყურადსაღებია.

ახალგაზრდობის პირველ ეტაპად მიჩნეული გარდატეხის ასაკია სწორედ ის პერიოდი, როცა ადამიანში განსხვავებული ფიზუკური და გონებრივი ცვლილებები ხდება. ამ დროს ადამიანი აცნობიერებს იმ ცვლილებებს, რაც მანამდე მის ორგანიზმში და გონებაში არ ხდებოდა. გარდატეხის ასაკში ადამიანი მშობლების კრიტიკას იწყებს და ამგვარი წინააღმდეგობებით ცდილობს საკუთარ თავს ახალი პასუხისმგებლობის და შესაძლებლობების გასაქანი მისცეს. ამავდროულად, ადამიანი ამ ასაკში საზოგადოებრივი ღირებულებების შესწავლისკენაა მიდრეკილი. მოზარდი ვითარდება ფიზიკურად და ეს განვითარების პროცესი მის გონებრივ დაძაბულობას იწვევს.

ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანი ამ პერიოდში სამომავლო პროფესიის არჩევანის წინაშე დგება. ამ და სხვა ფაქტორების გავლენით ადამიანი თავისდაუნებურად გონებრივ ქაოსში ექცევა, თუმცა ამ პერიოდს ახლავს მრავალი ლამაზი მომენტიც.

ახალგაზრდა ადამიანი ყველა იმ განცდას, რაც ადამიანის სურვილებს იტაცებს, განსაკუთრებული მგრძნობელობით განიც-

დის. ამ პერიოდში ადამიანი შეიძლება ზედმეტად გამხიარულდეს, ან კიდევ ზოგჯერ უკიდურესად დარდიანი გახდეს. ეს ყველაფერი შეიძლება დამოკიდებული იყოს მის გარემოზე, მაგალითად სკოლაზე, ოჯახზე, მეგობრებზე და სხვა. მოზარდისთვის ოჯახი ზოგჯერ ძალიან ტკბილი და სასურველი ადგილი ხდება, ზოგჯერ კი მოსაბეზრებელი, როგორც ციხე, სადაც თავისი პიროვნების წარმოჩენა არ ძალუძს. ამგვარი განცდების ქვეშ მყოფი ახალგაზრდა ადამიანის შიდა და გარე სამყაროს შორის წონასწორობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელად მისაღწევია ხოლმე.

ახალგაზრდა ადამიანის ყველა ეს მცდელობა, სინამდვილეში საკუთარი მეს, საკუთარი პიროვნების ძიების პროცესია. ახალგაზრდა ადამიანი საზოგადოებრივ დოგმებს კრიტიკის თვალით უყურებს ყველაფრის განსჯას იწყებს. ოჯახური წესრიგის განსჯა, საზოგადოებრივი წესწყობილების კრიტიკა, რელიგიასთან დამოკიდებულება და პოლიტიკური შეხედულებები ახალგაზრდა ადამიანს აყენებს იმ მდგომარეობაში, რომ ამ ყველაფრის საპირისპიროდ განაწყობს და მისდაუნებურად მეორე მხარეს აღმოჩნდება ხოლმე. მოზარდი ასეთ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს საჭიროა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი თვისებები კარგად იცოდეს. თუმცა მოზარდის ეს

ძიება, კრიტიკა და წინააღმდეგობა სულაც არ ნიშნავს, რომ ის არსებულ და მიმდინარე ყველაფრის წინააღმდეგია. ეს ყველაფერი დამოკიდებულია თუ როგორ და რა ფორმით შევთავაზებთ მას მიმდინარე, არსებულ რეალობას. თუ ეს ფორმები მისთვის მისაღები იქნება, მოზარდი ცხოვრების მისაღებ ჩარჩოებში მოექცევა და ასე განაგრძობს განვითარებას.

სინამდვილეში მოზარდს საკუთარი თავის დამკვიდრება სურს. თავისუფლების სურვილი ხშირად მას უკონტროლოს ხდის.

მისი ეს მდგომარეობა მშობლებს საგონებელში აგდებს და ხშირად მშობლებსა და შვილს შორის დაძაბულობის ფონი იქმნდება. სწორედ აქ წარმოიშობა მდგომარეობა, რომელიც თაობათა შორისი ბრძოლის სახელითაა ცნობილი. თაობათა შორის ამგვარი შეტაკება თუ ზოგადი გახდა, ეს მომავალი თაობების შესახებ გარკვეულ უკმაყოფილებას და შეშფოთებას იწვევს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მოზარდების მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნა არ უნდა დავუშვათ, მაგრამ მათ პრობლემებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ და მათთვის მისაღები მეთოდები და მიზნები შევთავაზოთ. ამ პროცესში თუ მდგომარეობა კრიტიკულ ზღვრამდე მივა, საჭიროა ამ საქმის სპეციალისტების ჩართვა. თაობათა შორის შეტაკების პროცესში ხშირია თვითმკვლელობები და ოჯახური ძალადობის გამოვლინების ფაქტები და ეს ყველაფერი თითქმის ყველა ტიპის საზოგადოებაში არსებობს.

II. ზოგადად თვითმკვლელობის შესახებ

ზოგადად თვითმკვლელობა ადამიანის მიერ გააზრებულად, ნებისმიერი ქმედებით საკუთარი სიცოცხლის დასრულებას ნიშნავს. ადამიანის სიკვდილი თვითმკვლე-

ლობად რომ ჩაითვალოს ადამიანი სრულ ჭკუაზე უნდა იყოს. შესაბამისად, ვინმე სხვისი ჩარევის ან რაიმე მოვლენის შედეგად დაფიქსირებული სიკვდილი თვითმკვლელობად არ ჩაითვლება.

არსებობს შემთხვევები, როცა ადამიანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თვითმკვლელობაზე ფიქრობს. თუ ადამიანი რაიმე მიზნის მისაღწევად ამბობს,რომ თავს მოიკლავს, ეს თვითმკვლელობის მუქარაა. გარდა ამისა, ადამიანმა შეიძლება თვითმკვლელობა გაითამაშოს და რელურად თავის მოკვლა არ სურდეს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამგვარი მოჩვენებითი თვითმკვლელობის მცდელობისას შედეგი მართლაც თვითმკვლელობა დგება. სიუციდის მოვლენის მკვლევარების მტკიცებით თვითმკვლელობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დაავადებებმა, რომელთა საფუძველი შეძლება იყოს ფილოსოფიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა.

ისლამი კატეგორიულად კრძალავს თვითმკველობას და მას დიდ ცოდვად მიიჩნევს. მნიშვნელობა არ აქვს თვითმკვლელობის მიზეზს. ამ თემასთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ

თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი!“ (ნისა 29)

გარდა ამისა, ყურანში ნაბრძანებია, რომ უსამართლოდ სიცოცხლის მოსპობა მთელი კაცობრიობის სიცოცხლის მოსპობად ითვლება.

„ამისთვისდავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით, მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი

მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას.“ (მაიდე 32)

შუამავლის მეგობრებიდან ამრ იბნ ‘ასი ერთ-ერთი ლაშქრობისას განსაბანი შეიქმნა, რადგან ძილის დროს პოლუციის მოვლენა დაფიქსირდა. ამრი ისეთ ადგილას იმყოფებოდა, სადაც ძალიან ციოდა და მიუხედავად იმისა, რომ წყალი იშოვებოდა, განბანვა თეიმუმის მეთოდით შეასრულა და ლოცვას წარუძღვა. მოგვიანებით როცა ეს ამბავი შუამავალს აცნობა, განმარტა, რომ ის ზემოთ მოყვანილი აიათის მიხედვით მოიქცა ასე. შუამავალმაც დაუდასტურა მისი გადაწყვეტილება.

შუამავალი სიცოცხლის გამეტებას შვიდ უდიდეს ცოდვაში თვლიდა. ჰეიბერის ბრძოლის დროს ქუზმანის სახელით ცნობილი მეომარი მძიმედ დაიჭრა. ჭრილობა იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, რომ ქუზმანმა საკუთარი ხმლით თავი მოიკლა. ამის თაობაზე შუამავალმა განაცხადა, რომ ქუზმანმა ამ საქციელისათვის ჯოჯოხეთი დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი კატეგორიულად კრძალავს თვითმკვლელობას და მას უდიდეს ცოდვებში განიხილავს, იშვიათად მაინც ხდება ეს სამწუხარო მოვლენა და მუსლიმები თავს იკლავენ.

თვითმკვლელობა ისეთი ცოდვაა, რომელიც მონანიების საშუალებას აღარ იძლევა. სხვა ყველა ცოდვას, დიდი იქნება თუ პატარა, მონანიების გზით მიტევების ალბათობა გააჩნია, მაგრამ თვითმკვლელობა ისეთი მოვლენაა, რაც ცოდვის ჩამდენის სიკვდილს იწვევს და შესაბამისად მას მონანიების შანსი აღარ ექნება. რაც შეეხება თვითმკვლელობის მცდელობას, ამისათვის მონანიების შესაძლებლობა არსებობს.

ისლამი, გარდა იმისა, რომ კრძალავს თვითმკვლელობას, ასევე მრავალმხრივი მეთოდებით ცდილობს სუიციდისადმი მიდრეკილებები აღმოფხვრას. ის არ ტოვებს ამგვარ პრობლემატურ ადამიანებს მარტო, ასწავლის რწმენის საფუძვლებს, ქცევებს და სხვა. ისალმის რწმენის საფუძვლები, სხვა პრინციპები და სამართლიანობის ისლამისეული გაგება ადამიანს ეხმარება გადააფასოს შეხედულებები და უარი თქვას თვითმკვლელობაზე, მიუხედავად ამ აზრის წარმოშობის მიზეზებისა.

ისლამი არამხოლოდ სოციალური აქტივობებითა და კავშრებით უშლის ხელს თვითმკვლელობას, არამედ მისი ძირითადი სწავლება, რწმენის საფუძვლები, მუსლიმი ადამიანის საზოგადოებაში ჩართულობა და სხვა ღონისძიებები ასევე ხელს უშლიან და მიზეზს აღარ აძლევენ თვითმკვლელობის

მოვლენის გავრცელებას. როცა ადამიანს სჯერა, რომ სიცოცხლე მისთვის ძვირფასი წყალობაა, რომ ის მხოლოდ ღმერთმა უბოძა და მხოლოდ ღმერთს შეუძლია დაასრულოს, ეს ყველაფერი თვითმკვლელობაზე ფიქრის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

რელიგიურ რწმენასა და სუიციდს შორის კავშირზე მრავალი თეორია არის განვითარებული და ასევე მრავალი კვლევაა ჩატარებული. ამ თეორიის ფარგლებში ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ რელიგია თვითმკვლელობის მოვლენაზე გავლენას ვერ ახდენს, ზოგი ამტკიცებდა რომ რელიგია თვითმკვლელობას აქეზებს და ზოგიც ამტკიცებდა, რომ რელიგია თვითმკვლელობას ხელს უშლის. თუმცა ყველაზე მასშტაბურმა კვლევებმა ცხადყო, რომ სარწმუნოება თვითმკვლელობის ალბათობას ამცირებს. რელიგია ნამდვილად არის და იქნება თვითმკვლელობის შემაკავებელი ფაქტორი. რელიგია ადამიანს მხოლოდ ამქვეყნიურ არსებად არ განიხილავს და მის საიქიო ცხოვრებაზეც ზრუნავს.

რელიგია ადამიანის გონებაში გარკვეულ სულიერი ღირებულებების სამყაროს ქმნის. აღნიშნული მეტაფიზიკური სფერო ამქვეყნიურ ცხოვრებისეულ პრობლემების დროს ნუგეშად და იმედად ევლინება. გარდა ამისა, რომელიმე რელიგიის მიმდევარ

ადამიანს სხვა მორწმუნეების სახით მანუგეშებელი და მაიმედებელი ადამიანები ჰყავს და ამგვარად ადამიანებს შორის სოციალური კავშირები ძლიერდება. ეს კი მარტოობისა და სასოწარკვეთილებისგან თვითმკვლელობის ალბათობას საგრძნობლად ამცირებს.

ისლამის ისტორიას თუ გადავხედავთ, ისლამურ საზოგადოებაში თვითმკვლელობების გამოვლინება ძალზედ იშვიათია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ისლამის სწავლება მარტივი, ბუნებრივი, ცხოვრებისეული, ადვილად გასაგები და ადამიანის ბუნების შესაბამისია. ამ მდგომარეობას ბევრი დასავლელი მკვლევარიც აღვნიშნავს. მათი განმარტებით ისლამის წამოშობიდან დღემდე ისლამურ საზოგადოებაში თვითმკვლელობის მოვლენის იშვიათობის მიზეზი სწორედ რომ ზემოთ ნახსენები ფაქტორებია.

ისლამის სწავლულების მოსაზრების თანახმად მუსლიმი ადამიანის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის შემთხვევაში ცნობილი არ არის მორწმუნედ გარდაიცვალა ის თუ ურწმუნოდ, ამიტომ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ღმერთსა და კონკრეტულ მიცვალებულს შორის არსებული ფენომენია, აქედან გამომდინარე კი თვითმკვლელი მუსლიმისთვის მიცვალებულის ნამაზის შესრულება და

მუსლიმთა სასაფლაოზე დასაფლავება მისაღებია.

დღევანდელი ახალგაზრდობისათვის თვითმკვლელობის მიზეზად შეიძლება შემდეგი ფაქტორები დასახელდეს: უმუშევრობა, უპერსპექტივობის განცდა, თაობათა შორის კონფლიქტები, ცალმხრივი სიყვარული, იდეალური წარმოდგენების განხორციელების იმედის არქონა, არასრულფასოვნების კომპლექსი და სხვა.

III. ახალგაზრდული ჰობლიქები და თვითმკვლელობა

1. თაობათა შორის უთანხმოება, როგორც ახალგაზრდობის ჰობლიქმა

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდობა, ეს არის სამყაროს სხვანაირად აღქმის შესაძლებლობა. ისლამის მიხედვით ადამიანი გარდატეხის ასაკს რომ მიაღწევს, რელიგიურად უკვე პასუხისმგებლობის მატარებელია. გარდატეხის ასაკს მიღწეული ადამიანი უკვე პასუხისმგებელია ღმერთის, ადამიანის, საზოგადოების და საკუთარი თავის წინაშე. მისი ეს მდგომარეობა თავისუფლების მოპოვებად შეიძლება განიხილებოდეს. ოჯახსაც ბავშის წინაშე

გარკვეული მოვალეობები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა ოჯახმა ბავშვის გამოკვებაზე უნდა იზრუნოს, ამის მერე კი მოდის სხვა მოთხოვნილებები, როგორიცაა განათლება, აღზრდა, უსაფრთხოება და სხვა.

ბავშვები სიყვარულით და გულმოწყალე დამოკიდებულებით უნდა აღიზარდონ. თუ ბავშვი პატარაობისას ძალადობას და უსამართლობას აწყდება, ეს ყველაფერი მოზრდილობაში უარყოფით გავლენას იქონიებს მის ფსიქიკაზე. გამომდინარე აქედან, იმ

ოჯახში გაზრდილი ბავშვი, სადაც ძალადობა იყო, ოჯახს ვეღარ წარმოიდგენს ისეთ ადგილად, სადაც ბედნიერების და სიმშვიდის მიღწევა შეიძლება. ბუნებრივია ამ დროს ის სხვა ადგილის ძიებას დაიწყებს, სადაც სიმშვიდეს და ბედნიერებას მოიპოვებს.

ჯერ კიდევ ბავშვობაში რწმენის საფუძვლების სწავლება, ღვთისმსახურებაზე მიჩვევა და მაღალი ზნეობის განვითარება ბავშვებს ახალგაზრდული წლების ისეთი ფორმით გატარებეში დაეხმარება, რასაც წმ. შუამავალი იწონებდა. მაღალი ზნეობის მატარებელი, მორწმუნე ახალგაზრდა ნებისმიერ სიტუაციაში გონივრულად მოიქცევა და ამასთანავე ის უარყოფითი გარემო ეფექტები, რომლებიც გარემოსგან მოდის, მასზე ვეღარ იმოქმედებს. შესაბამისად მისი სუიციდისადმი მიდრეკილების ალბათობა ძალიან ნაკლები იქნება.

2. ფსიქოლოგიური ფაქტორები, ოთეოოც ახალგაზრდობის ჯოიბლეშა

თვითმკვლელობის მოვლენის მიზეზი ყოველთვის ფსიქოლოგიური პრობლემები ან ფსიქიატრიული დაავადებები არ არის. ადამიანი შეიძლება სულიერად სრულიად ჯანმრთელი იყოს, მაგრამ ძლიერი ემოციის

ფონზე თვითმკვლელობა სცადოს. ახალგაზრდები ყველაზე ხშირად, ფსიქოლოგიური პრობლემის სახით, დეპრესიას აწყდებიან. დეპრესიის დროს ადამიანი თავს უბედურად, იუმედოდ, უმნიშვნელოდ და სასოწარკვეთილად გრძნობს და მისი ეს მდგომარეობა ფიზიკურ ასპექტშიც გამოიხატება.

მოზარდის დეპრესიული მდგომარეობა გამოიხატება სხვადასხვა გამოვლინებებში. მაგალითად ხშირი სტრესი და დაძაბულობა, მოუსვენრობა, წესების უგულებელყოფა, თავის და მუცლის ტკივილები, არასრულფასოვნების შეგრძნება, ტირილი, ოთახში ჩაკეტვა, სწავლაში წარუმატებლობა, მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭება და სხვა.

დეპრესიის გამოვლინება მოზარდებსა და ზრდასრულებში განსხვავებულად ხდება. როგორც ფიზიკური დაავადებების, ისე ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის სწრაფი რეაგირება უკიდურესად მნიშვნელოვანია. ამიტომ საჭიროა საქმის სპეციალისტის დროული ჩარევა და დახმარება. მოზარდის დეპრესიის პროცესში გარემო განსაკუთრებულ როლს თამაშობს და ამ თავლსაზრისით, უპირველეს ყოვლისა ჯერ მშობლები, მერე კი ყველა გარშემომყოფი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოიქცეს.

გარდა ამისა, მათი ყურადღება ან უყურადღებობა გადაჭარბებული არ უნდა იყოს და ამ ორ უკიდურესობას შორის ოქროს შუალედი უნდა მონახონ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ დეპრესია არის პრობლემა, რომლის დროსაც თვითმკვლელობის რისკი საკმაოდ მაღალია.

გარდატეხის ასაკში წარმოქმნილი პრობლემებისგან ერთ-ერთი ყოველდღიური ცხოვრების პროცესში პანიკის შემცველი შფოთვაა. დიდი ხნის განმავლობაში დავალებაზე უშედეგოდ მუშაობა, უამრავჯერ დაწერა და ისევ წაშლა, საპირფარეშოს ხშირი გამოყენება, მუდმივად ხელების ბანა, საკუთარ ნივთებზე შეხებისგან უკიდურესად გაღიზიანება და სხვა მსგავსი ქცევები დეპრესი-

ის ერთგვარი ნიშნებია. ამგვარი ნიშნების გამოვლენისთანავე საჭიროა დროული რეაგირება, რათა დეპრესია არ ჩამოყალიბდეს და მითუმეტეს არ გაღრმავდეს.

ახალგაზრდობის წლებში ხდება საზოგადოებრივი წესრიგის გაცნობა, პროფესიის შერჩევა, საქმის კეთების უნარების გამოვლინება და სხვა მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა. ამ ეტაპზე ადამიანი აწყდება პრობლემას, რომელიც გულისხმობს თუ რას წარმოადგენს თავად ადამიანი და რას ითხოვს მისგან საზოგადოება. ამ წინააღმდეგობას შეჯახებული ახალგაზრდა ხშირად საზოგადოების მოთხოვნილებებს ითვალისწინებს და საკუთარს უგულებელყოფს ხოლმე.

3. შფოთვა, როგორც ახალგაზრდობის პრობლემა

როდესაც მოზარდების პრობლემებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ჩამოვთვალოთ მოსწავლეობასთან დაკავშირებული პრობლემები. სწავლა, გამოცდები და სხვა, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილება როგორც მოზარდების პრობლემებთან დაკავშრებული ელემენტები. აღნიშნული მდგომარეობა შესაძლებელია მოზარდის შფოთვის მიზეზი გახდეს, შიდა სამყაროში გადავიდეს, განივრცოს და

კონტროლს აღარ დაექვემდებაროს. მომავლის დარდი მოზარდს ყოველი მხრიდან აწუხებს და ეს წარმოშობილია როგორც მისი საკუთარი შინაგანი სამყაროსგან, ისე გარემოცვის ზეწოლისგან, როგორიცაა მშობლები, მეგობრები და სხვა. ამ პერიოდში ამგვარი მშფოთვარე ფსიქოლოგიას უფრო ამძაფრებს გამოცდები, რომლებიც, როგორც წესი ადამიანის ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზეა დადგენილი.

გამოცდებზე საუბრისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საშუალო სკოლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები. სწორედ ეს გამოცდებია,

რომლებიც ახალგაზრდებში განსაკუთრებულ შფოთვას და ნერვიულობას იწვევს. ზოგიერთი მოზარდი მისაღებ გამოცდებზე წარუმატებლობის შემთხვევაში თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობს, გეგმავს მას და ზოგჯერ სისრულეშიც კი მოყავს.

გარდა ამისა, ზოგიერთი მოზარდის პრობლემაა უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ უცხო გარემოში მოხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სწავლის დროს ბედნიერი და ხალისიანი იყო. ასევე პრობლემატური და სანერვიულო პროცესია უნივერიტეტის დამთავრების შემდეგ სამსახურის შოვნა და თვითდამკვიდრება.

გამოცდების და მომავალთან დაკავშირებული შფოთვის შეგრძნება რომ მოზარდის გულსა და გონებაში დამკვიდრდეს, დიდ როლს თამაშობს ოჯახი, ოჯახური გარემო,, სამეგობრო წრე და სხვა მსგავსი ფაქტორები. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, რათა მოზარდი ამგვარი შფოთვის მიზეზი არ გახდეს, აღმზრდელები სხვადასხვა მეთოდებს და ტაქტიკას მიმართავენ ხოლმე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ტიპის გამოცდებში წარმატებას აღწევენ ისინი, ვინც კონკრეტულ დისციპლინაში საკმარისი ცოდნა დააგროვა, ვინც პრაქტიკული ცოდნა განივითარა და საკუთარ ფსიქოლოგიის გაკონტროლება შეუძლია

და არა ისინი ვინც ყველაზე მეტს განიცდის, ყველაზე მეტს ნერვიულობს და ვინც ყველაზე მეტად დაძაბულია.

გარდა ამისა, გამოცდების წარმატებისათვის საჭიროა ღმერთს შევევედროთ, რათა მან გაგვიადვილოს გამოცდის ცაბარება და გონება გაგვინათოს. ეს სიმშვიდის მოპოვებაში დაგვეხმარება და უფრო ნაყოფიერად მუშაობას შევძლებთ. ამ პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია „თევექქულის-სასოების“ მომენტი, რომელიც შრომას, მოწადინებას, გულისხმიერ მცდელობას და ამის შემდეგ ღმერთისგან წარმატების მოტანის მოლოდინს გულისხმობს. ხოლო თუ შრომის შემდეგ წარმატება არ მოვა, ეს ღმერთის ნებაა და ასე უნდა მივიჩნიოთ. აქ მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ზოგი რამ დასაწყისში სასარგებლო და მიმზიდველი ჩანს, მაგრამ შემდეგ საზიანო და ცუდი აღმოჩნდება ხოლმე და პირიქით, ზოგი რამ რაც დასაწყისში არ გვიზიდავს, მოგვიანებით ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო აღმოჩნდება ხოლმე. გარდა ამისა, წარუმატებლობის შემთხვევაში მოზარდის მიმართ ოჯახის და გარემოცვის დამოკიდებულება და ქცევა უკიდურესად მნიშვნელოვანია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოზარდის მიერ გამოცდებზე წარუმატებლობის შემთხ-

ვევაში მისი გაკიცხვა, ლანძღვა, დამცირება და მსგავსი მიდგომები მიუღებელია, რადგან ამგვარი ქცევით მის დეპრესიას, ცხოვრებისგან გათიშულობას და სასოწარკვეთას გამოვიწვევთ. ამ დროს მთავარია თავის ხელში აყვანა და ემოციების გაკონტროლება, რის შემდეგაც ახალი მისწრაფებები და მიზნები უნდა იქნას დასახული. მომავლის პერსპექტივისგან ჩამოშორება და მუდმივად წარსულის წარუმატებლობის გავლენის ქვეშ ყოფნა, მოზარდის მომვალს ნეგატიური კუთხით შეცვლის. წარმატებული ადამიანები წარსულში განცდილ წარუმატებლობას როგორც გამოცდილებას ისე აგროვებდნენ და მასზე ახალი წარმატებისკენ მიმავალ გეგმებს სახავდნენ. გამომდინარე აქედან, ძლიერი და თავისუფალი ადამიანი ცხოვრების ასპარეზზე ნებისმიერ ნეგატიურ მოვლენას შეუდრეკელი ხვდება და სიტუაციიდან უფრო გაძლიერებული გამოდის.

საამისო პოტენციალი ყველა გონიერ ადამიანს გააჩნია. ამ პროცესის განმავლობაში კი ადამიანი ღმერთის უკიდეგანო წყალობის კალთასაა შეფარებული და მისგან ახალ იმედებსა და პერსპექტივებს ელოდება. ამრიგად ის მუდმივად განივითარებს როგორც სულიერ ისე ფიზიკურ შესაძლებლობებს.

4. კომუნიკაციის მექანიზმები, როგორც ახალგაზრდობის ბრობლემა

თანამედროვე ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, სათამაშო და გასართობი საშუალებებით ჩვენს მიმდინარე ცხოვრებას თავისი გავლენის ქვეშ აქცევს. კომუნიკაციის მექანიზმები ადამიანის გონებაში ყოველგვარი გართობის, თამაშისა და ჩვევების სახით გასაქანს პოულობს და ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურ როლს ფილმები, მუსიკა, რადიო, ვიდეო თამაშები, კომპიუტერი, ინტერნეტი და სხვა მსგავსი საშუალებები თამაშობს და ზოგჯერ ისინი, როგორც წესი რელურ ცხოვრებას ანაცვლებს. სხვადასხვა თამაშები, ვირტუალური გმირები, ალტერნატიული ვირტუალური გარემო, ვირტუალური მეგობრები და სხვა, განსაკუთრებით მოზარდისთვის ეფექტური ზეგავლენის მატარებელია და მოზარდის გონებას და შინაგან სამყაროს განსხვავებული მიდრეკილებებისკენ ხელსაყრელად აქცევს.

გარდა ამისა, რეალურ სამყაროში შეუძლებელი და ვირტუალურ სამყაროში შესაძლო ფანტაზიები მოზარდს რელური ცხოვრებისგან აშორებს და მის გონებას აბრმავებს. ამგვარი ზეწოლის ქვეშ მყოფი მოზარდი თავის ინდივიდუალიზმსა და უნარებს, თავისი გაჩენის შესაბამის ბუნებრიობას ნელნელა კარგავს და ასე დაბნეული

ვირტუალურ და რეალურ სამყაროს შორის ეხეთქება. ამ დროს მოზარდის შრომისუნარიანობა დაცემულია და როგორც წესი ის წარუმატებელია როორც სკოლაში, ისე ოჯახსა და საზოგადოებაში. ამრიგად,მზადდება თვითმკვლელობისთვის ხელსაყრელი ადამიანის პროტოტიპი,რომელიც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორისაა.

სასურველია ახალგაზრდებმა ინტერნეტი აკადემიური და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენონ, გართობა კი ზომიერი და მიღემული ფორმით უნდა ხდებოდეს.

თუმცა, ვირტუალური სამყაროს მომხიბვლელობა ამგვარ რაციონალურ ქცევას სჯობნის, ადამიანის ცხოვრებას იპყრობს, გონებას აბნელებს და ცოდნის შეძენის შესაძლებლობას სპობს. ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს მოზარდის გადაწყვეტილებებზე, მაშინ როცა ის მომავლის პროფესიას ირჩევს და ამავდროულად ართმევს დროს, რომელსაც ის ცოდნის შეძენისთვის უნდა იყენებდეს. ასევე დადგენილია, რომ მოზარდობის პერიოდში ვირტუალურ გმირებს, თამაშებს, ფილმებსა და გართობის სხვა საშუალებებს მიჯაჭვული ახალგაზრდები სუიციდური აზრისადმი უფრო მიდრეკილნი არიან.

სარწმუნოების სწავლების და ღვთიური კანონებით დადგენილი გზით მავალი ახალგაზრდები, ბუნებრივია ხვდებიან ვირტუალური სამყაროს ამ ნეგატიურ გავლენას და უფრო რაციონალურად იქცევიან. ამასთანავე ისინუ შინაარსიანად იყენებენ დროს, რომელიც მოზარდისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

5. ჰესიმისტური განწყობა

ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობა ის პერიოდია, როდესაც ადამიანის გონება, ქცევა და ცხოვრების სტილი ფიქრისთვის

ღიაა და ფიქრის ეს ინტენსიური პერიოდი დიდ გავლენას ახდენს. ამ პერიოდში ახალგაზრდის გონებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე მასმედია, კონო, მუსიკა და სხვა მსგავსი ფაქტორები. თანამედროვე ახალგაზრდობას საკომუნიკაციო საშუალებებით სხვადასხვა კულტურა, ცხოვრების სტილი, მოდა და მსგავსი მაპროვოცირებელი სტიმულები მიეწოდებათ.

არსებობს ზოგიერთი ფილოსოფიური მიმდინარეობა,რომელთა საწყისები ანტიკურ საბერძნეთს უკავშირდება და რომლებიც ქადაგებენ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ცუდია და მხოლოდ სიკვდილის შემდგომ იწყება ჭეშმარიტი ცხოვრება, ეს ქვეყანა ციხეა და აქ ადამიანი სასჯელს იხდის და თუ სურს ადამიანს თავი დააღწიოს წამებას რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს სხეული და ა.შ. ამგვარი ნეგატიური ზემოქმედების მქონე მოსაზრებები და ფილოსოფიური მიმდინარეობები თანამედროვეობაშიც გვხვდება. ჩვენ ამ მოსაზრებას სიუციდის ფილოსოფიურ მიზეზად განვიხილავთ და ეს მოსაზრება ადამიანის გაჩენის ძირითად მიზანთან აბსოლუტურად წინააღმდეგობაშია. შესაბამისად არ შეესაბამება არც ისლამის რწმენასა და სწავლებას. მიუხედავად ამისა, ამგვარი მოსაზრებები ფორმაცვლილი სახით ისევ გვხვდება და საკომუნიკაციო საშუელებების გამოყენებით ვრცელდება.

თანამედროვე ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს კონკრეტული მუსიკალური მიმდინარეობა აქვს გაფეტიშებული და თავიანთი ცხოვრების სტილიც შესაბამისად აქვთ ფორმირებული, ხოლო გარემოსთან ამ ყველაფრის ზეგავლენიდან გამომდინარე ურთიერთობენ.

გარდა ამისა მომრავლებულია ისეთი ადგილები, სადაც მოზარდებს შეუძლიათ მიიღონ თავიანთი სიცოცხლის გამანადგურებელი ნივთიერებები, როგორიცაა ექსტაზი, კოკაინი, ჰეროინი და მსგავსი ტიპის საშიში ნარკოტიკული საშუალებები. გამოუცდელი მოზარდებისთვის ამგვარი ადგილები განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურება. სუიციდური აზრის მაპროვოცირებელი სწორედ ეს ზემოთ ნახსენები მავნე ჩვევებია. მაგალითად, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი თუ ნარკოტიკებზეა შეჩვეული შეიძლება დოზა გადააჭარბოს და სიცოცხლე ასე დაასრულოს. როგორც ცნობილია, ნარკოტიკების მოხმარებისას რაც უფრო ეჩვევა ორგანიზმი მით უფრო მეტ დოზას ითხოვს.

მოზარდი მსგავსი ადგილებისგან შორს უნდა იდგეს და თუ შემთხვევით ამგვარი სიტუაციაში აღმოჩნდება დაუყონებლივ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართოს. რაც უფრო მალე დავბრუნებით

საზიანო გზიდან მით უკეთესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნარკოტიკის გზა აუცილებლად სიკვდილთან მიგვიყვენს. სიკვდილამდე პროცესში კი ამ ყველაფერს თანს სდევს წვალება, ნერვიულობა, უბედურება, თვითმკვლელობები და სხვა მრავალი მსგავსი უბედურება.

6. აზარტული თამაშები

აზარტული თამაშები ისლამის მიხედვით კატეგორიულად აკრძალულია და ჰარამადაა მიჩნეული. დასაწყისში აზარტული თამაშები შეიძლება უწყინარ გართობად ან ფულის მარტივად შოვნის გზად მოგვეჩვენოს, მაგრამ მოგვიანებით ამის შედეგად ჩნდება პრობლემები, ჩნდება ძლიერი დამოკიდებულება, ადამიანები ვარდებიან დიდ ვალებში, ინგრევა ოჯახები და ხდება მრავალი სხვა უბედურება.

აზარტული თამაშების მახეში გაბმული მოზარდი გონებას თავს ვეღარ უყრის და რაც უფრო მეტ ფულს აგებს, მითუფრო ღრმად ეფლობა. ამ პროცესში ის უკიდურეს გონებრივ სტრესს განიცდის და სწორედ მაშინ უჩნდება სუიციდური აზრი. აზარტული თამაშების დროს წლების მანძილზე ოფლით და ჯაფით ნაგროვები ფულის უეცრად დაკარგვაა შესაძლებელი.

აზარტული თამაშების მოთამაშე ადამიანი თავიდან ასი პროცენტით დარწმუნებულია, რომ მოიგებს. თუმცა, მოგვიანებით, მიუხედავად წაგებისა აზარტულ თამაშებზე ძლიერ დამოკიდებული ხდება და ფიქრობს, რომ შემდგე თამაშში აუცილებლად მოიგებს. მოთამაშე ადამიანს იმდენად ძვალსა და რბილში უჯდება თამაშის სურვილი და ჩვევა, რომ ერთხელ მოგების შემთვევაშიც მთელ ფულს ისევ თამაშში წააგებს.

ამ გზაზე მდგარი ადამიანი რაც უფრო შორს მიდის მითუფრო მეტ ზარალს პოულობს ხოლმე. თავდაპირველად თუ შეეძლო რაღაც საზღვრები დაეცვა, ზომიერება გამოეჩინა, მერე და მერე ამ ყველაფრის შეგრძნებას დაკარგავს და მთლიანად აზარტულ თამაშზე დამოკიდებული ხდება. „თამაშით არავინ გამდიდრებულა“, ნათქვამია ხალხში და ეს სიტყვები ამ მდგომარეობის ფსიქოლოგიას ზუსტად ასახავს.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული მოზარდი საჭიროა ამ საქმის სპეციალისტთან მივიდეს და მკურნალობის კურსი გაიაროს, ხოლო ჩადენილი ცოდვის გამო ღმერთის წინაშე უნდა მოინანიოს და ღმერთს შენდობა სთხოვოს. „ბევრი წავაგე, ამას მხოლოდ მოგებით თუ ავანაზღაურებ“ ამგვარი მიდგომა არათუ რამეს მოაგებინებს ადამიანს, პირიქით, საბოლოოდ დაღუპავს.

7. □ მრუშობა

მრუშობა და მასთან ასოცირებული სხვა ქცევები თანამედროვეობის სერიოზული გამოწვევაა. გარდატეხის ასაკს მიღწეული მოზარდი უკვე პასუხისმგებელია თავის ქცევებზე და ამასთანავე ის ვალდებულია ისლამის სწავლების წესისამებრ იცხოვროს. ახალგაზრდა, რომელიც მრუშობას ჩაიდენს უმალ კარგავს პატივისცემას ოჯახში, მეგობრებში თუ საზოგადოებაში. მოზარდისთვის ეს ასაკი განსაკუთრებით სათუთი და სახიფათოა, ამიტომ მოზარდი ყოველმხრივ უნდა ეცადოს,რომ თავისი ცხოვრება ყურანის მიერ ნაკარნახევი გზით წარმართოს და მრუშობისგან შორს ყოფნა არჩიოს. ამასთანავე, ამ ასაკში მოზარდმა ხშირად უნდა იმარხულოს, რათა საკუთარი სურვილების მოთოკვა გაუადვილდეს. ამას წმ. შუამავალი მუჰამმედი გვირჩევს.

ხოლო თუ ახალგაზრდა ადამიანი მაინც შეცდა და ამგვარი უმსგავსო ქმედება ჩაიდინა, მაშინვე უნდა მოინანიოს და ღმერთის წინაშე პატიება ითხოვოს.

8. უიმედო სიყვარული და ახალგაზრდობა

მოზარდობის, ახალგაზრდობის ასაკში სიყვარული ყველაზე ბუნებრივი მდგომარე-

ობებიდან ერთ-ერთია. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანის ეს ბუნებრივი მდგომარეობა ზოგ ადამიანისთვის ძლიერი განცდის მომგვრელია, ხოლო ზოგისთვის შედარებით სუსტად მიმდინარეობს. ასევე ცნობილია, რომ ცალმხრივი და უიმედო სიყვარულის დროს ხშირად საქმე თვითმკვლელობითაც კი მთავრდება.

ისლამის მიხედვით ღმერთის ერთ-ერთი თვისება სილამაზეა (ჯემალ). თასავვუფის სწავლების მიხედვით დედამიწაზე რაც სილამაზეა, ყველას საფუძველი და წყარო ღმერთია.

ზოგიერთ შემთხვევაში დრო ყველაფრის მკურნალია. უიმედო სიყვარულის გამო ვინც თვითმკვლელობა ჩაიდინა, 3-4 წელი რომ მოეცადა და ასეთი რადიკალური ნაბიჯისგან დროებით თავი შეეკავებინა, მიხვდებოდა, თუ რაოდენ დიდი სისულელე და უაზრო საქციელი ჩაიდინა. ამგვარი ძლიერი სიყვარულით შეპყრობილებმა სასურველია ჯერ წაიკითხონ ისლამის მოაზრონე ხელოვანების მევლანას, იუნუს ემრეს და შეიხ გალიბის ნაწარმოებები და ამით ისინი შინაგან სიმშვიდეს მოიპოვებენ. იქნებ ადამიანური სიყვარულის გრძნობიდან ღვთიური სიყვარულის საიდუმლოსკენ გაეკვლიათ გზა. მევლანას სიტყვებს თუ გავიხსენებთ, ერთი სიყვარულის დავი-

წყება, მხოლოდ სხვა სიყვარულითაა შესაძლებელი. ამ სიტყვებით ნათელი ხდება, რომ ცხოვრება ამ მხრივ მრავალ გამოსავალს გვთავაზობს.

IV. ახალგაზრდობის პრობლემები და თვითმკვლელობა ისლამის პირობები

1. ახალგაზრდობის პრობლემები და ღმერთის რწმენა

ისლამის მიხედვიღ ღმერთის რწმენა რწმენის პირობებიდან ყველაზე მთავარია. ღმერთი ყურანში,კრძალავს თვითმკვლელობას. ღმერთმა ყველაფერი უწყის და ესმის.

მისი სამართალი მთელ სამყაროზე ვრცელ-
დება. ამ ქვეყნად თუ რამ უსამართლოდ
მოგვეჩვენება, ეს მხოლოდ და მხოლოდ გა-
მოცდაა. ღმერთი გარკვეული პერიოდით
ადამიანებს სხვადასხვა არჩევანის წინაშე
თავისუფალი ნების ამარა ტოვებს და შემ-
დეგ სიტუაციიდან გამომდინარე ნამოქმე-
დარისთვის განიკითხავს. ღმერთი ყველაზე
ძნელბედობის ჟამს ადამიანის გვერდითაა.
ის ადამიანთან ადამიანის მთავარ არტერი-
აზე უფრო ახლოა.

„და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ)
ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე
ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრე-
ბას, როცა ის შემევედრება. მაშ, შეისმინონ
ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით
წავიდნენ!“ (ბაყარა 186)

გარდა ამისა ჰადისში ნათქვამია, რომ
ვინც ღმერთისკენ ერთ ნაბიჯს გადადგამს,
ღმერთი მისკენ ათ ნაბიჯს გადადგამს.

გამომდინარე აქედან, ახალგაზრდამ, რო-
მელსაც სწამს ღმერთი და ახალგაზრდო-
ბის პრობლემებად ჩამოთვლილთაგან რო-
მელიმე პრობლემაში ჩავარდა, ისევ ღმერთს
უნდა მიეკედლოს, შეევედროს და მისგან
მოელოდეს შველას.

ყურანის მიხედვით ამქვეყნიური ცხოვრე-
ბა ფუჭი და წარმავალია და ამავდროულად

ადამიანისთვის გამოცდის ადგილი. ადამიანისთვის როგორც ყველა ცოდვის, ისე სუიციდური აზრის დროსაც ამგვარი გამოცდაა. თუმცა, სხვა ცოდვების შემთხვევაში ადამიანს მონანიების შანსი კიდევ რჩება, მაგრამ თვითმკვლელობის შემთხვევაში ამ შანსს კარგავს. ამიტომ, სუიციდური აზრის მქონე ადამიანი კარგად უნდა დაფიქრდეს, რომ თვითმკვლელობის განხორციელების შემთხვევაში მას შანსი აღარ ექნება ღმერთის წყალობის, ახალი ცხოვრების, ახალი აზროვნების და სხვა. იქნებ ღმერთმა გონება უნდა გაუხსნას, იქნებ ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერება უნდა უწყალობოს, ის კი ამ შანსს საკუთარი ხელით სპობს.

ადამიანმა არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ ღმერთი ყველაზე დრამატულ წუთებშიც კი მასთან ყველაზე უფრო ახლოსაა.

გარდა ამისა, ღმერთს ადამიანისთვის ისეთი არაფერი დაუკისრებია, რასაც ის ვერ შეძლებს. (იხ. ბაქარა 286). გამომდინარე აქედან, ახალგაზრდა ადამიანი ყველაზე მძიმე წუთებშიც უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს, რომ ეს ყველაფერი ღმერთის ნებაა, მოძებნოს ავტორიტეტი ადამიანები, რომლებიც ამ საკითხში კარგ რჩევებს მისცემენ და უნდა იცოდეს, რომ ღმერთის წყალობა ყველა და ყველაფერს მოიცავს. ღმერთი ყოველთვის ადამიანის გვერდითაა.

“ერთი ახალგაზრდა ადამიანი ამბობს: „მისაღები გამოცდები რომ ვერ ჩავაბარო, დავიღუპები. რას იტყვიან მეგობრები,მშობლები?“ მეორე მთელ ღამეებს ათენებს დარდსა და წვალებაში, რადგან შეყვარებულმა უარი უთხრა და სხვას გაყვა ცოლად. მესამეს მიაჩნია, რომ ცხოვრების წეს-წყობილება მის შეხედულებებს არ ემთხვევა

და მას ვერ უპოვია თავისი ადგილი ამ სამყაროში. ერთ-ერთი სხვა იმას განიცდის, რომ დიდი ცოდვა ჩაიდინა და ეს რომ გამჟღავნდეს ოჯახის და საზოგადოების რეაქციის ეშინია. სხვა ახალგაზრდა მეამბოხეთა მიმდინარეობას შეხიზვნია და ტრადიციულ ინსტიტუტებს ბრძოლას უცხადებს. ერთ-ერთი მოზარდი ფიქრობს, რომ მშბლები ზედმეტად ავიწროებენ, ამიტომ ოთახშია ჩაკეტილი და არავის ნახვა აღარ სურს. ვიღაც სხვას მთელი ფული თამაშში წაუგია. ერთ-ერთს ნარკოტიკი გაუსინჯავს და ახლა ხვდება თუ რა ხიფათში ჩააგდო საკუთარი სიცოცხლე და მომავალი. ვიღაცას უნივერსიტეტი დაუმთავრებია, მაგრამ სამსახურს ვერ შოულობს და სხვა."

ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი და სხვა ნებისმიერ პრობლემის შემთხვევაში მათთვის ყველაზე ახლობელი, მათი შემწე და მშველელი ერთადერთი არსება დიადი ღმერთია. ამიტომ ნებისმიერი პრობლემის, უიმედობის თუ ცოდვის შემთხვევაში ღმერთს უნდა მივეკედლოთ, მოვინანიოთ და შველა ვთხოვოთ. უპირველეს ყოვლისა უნდა შევწყვიტოთ ცოდვის ჩადენა და გვჯეროდეს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის, იცის და ყველაფერი შეუძლია. ის ხომ ჩვენთან ყოველთვის, ყველაზე ახლოსაა.

2. ახალგაზრდობის ჭრობლემები და საიქიოს რწმენა

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, უწვრილესი სოციალური ჯგუფებიდან დაწყებული მსხვილი საზოგადოებრივი ერთეულებით დამთავრებული, ყველგან ხდებოდა და ხდება გარკვეული უსამართლობა, რომელთა წარმოშობის მიზეზი ისევ და ისევ ადამიანები არიან.

ისლამის სწავლების მიხედვით ამქვეყნად გაკეთებული ნებისმიერი სიკეთე საიქიოში აუცილებლად დაფასდება და ასევე ამქვეყნად ჩადენილი ნებისმიერი უსამართლობა და დანაშაული საიქიოში სასჯელს ითვალისწინებს. ამასთანავე ნათლადაა გაცხადებული, რომ ეს ქვეყანა საიქიოსთვის სარჩოს მოპოვების ადგილია და აქ რასაც დავთესთ იმასვე მოვიმკით საიქიოში.

ყოველმა ადამიანმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც უსამართლობა და ცოდვაა საიქიოში განკითხვის საგანი გახდება და უზენაესი შემოქმედი ჩადენილი უსამართლობისა და ცოდვისთვის ყველას საკადრისად მიეზღვება. ღმერთი ამის შესახებ ყურანში ნათლად ბრძანებს.

ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი მდგომარეობის გამო ადამიანი ღმერთის გზას არ

უნდა აცდეს და უნდა ახსოვდეს, რომ გარდატეხის ასაკიდან ის უკვე თავისუფალია და ეს იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია პასუხისმგებლობა უზენაესი გამჩენის წინაშე. ადამიანმა უნდა მოითმინოს და თუ უსამართლოდ მოექცევიან უველაფერი ღმერთს მიანდოს. ადამიანმა თუ ამქვეყნად სწორად იცხოვრა, საიქიოში ბედნიერი იქნება. გამომდინარე აქედან, გამოცდაზე ჩაჭრა, სიღარიბე, უმუშევრობა და სხვა მსგავსი ნეგატიური მოვლენები დროებითი მდგომარეობაა. საიქიო ბედნიერებისათვის რა თქმა უნდა ღირს ამქვეყნად შრომა და გაძლება. ადამიანმა უნდა შეძლოს ღმერთის მიერ დადგენილი ნების აღსრულება და ასევე მის მიერ ბოძებული შესაძლებლობების კარგად გამოყენება. თვითმკველობა კი ამ ყველაფრის უგულებელყოფა და ამ ყველაფრისგან გაქცევაა. ყურანის მიხედვით მთავარი საიქიო ბედნიერებაა და არა ამქვეყნიური დროებითი სიამოვნება. თვითმკვლელობის შემთხვევაში კი ადამიანი ამ ბედნიერებისა და გადარჩენის შანსს ისპობს.

3. მონანიება

ჩადენილი ცოდვიდან გამომდინარე სინანულის გამოხატვას და ღმერთის წი-

ნაშე პირობის დადებას, რომ აღნიშნული ცოდვა აღარ განმეორდება, მონანიება ეწოდება. მონანიება მიღებული რომ იყოს, ისლამის სწავლილების ნაწილი გარკვეული პირობების აუცილებლობაზე საუბრობს და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი ყურადღება გულწრფელობას ენიჭება. ისლამის მიხედვით ღმერთსა და მის მონას შორის არავითარი მესამე ძალა არ არის საჭირო და მონანიების მსგავს საკითხებში შუამავალი ფაქტორის და რაიმე დამაკავშირებელი რგოლის არსებობა მიუღებელია.

ზოგიერთ შემთხვევაში მონანიება, ახალგაზრდობის წლებში წარმოშობილი პრობლემებისგან გამომდინარე შესაძლო თვითმკვლელობებს ხელს უშლის. ზოგჯერ ხდება საკიტხის არასწორი გაგება და ადამიანებს ჰგონიათ, რომ ახალგაზრდობის წლებში ჩადენილი ცოდვები არასოდეს მიეტევებათ და სიკვდილამდე ამ ცოდვით დამძიმებულები ივლიან. ღმერთს თავისი წყალობის კარები ყოველთვის ღია აქვს და როცა ერთის მხრივ ჩადენილი ცოდვისთვის პასუხისგებაზე საუბრობს, იქნე მითითებულია, რომ გულწრფელი მონანიება მიღებული იქნება. (იხ ნისა 17, ენ'ამ 54, ზუმერ 53, თაჰრიმ 8)

ამასთანავე, ახალგაზრდა ადამიანი განსაკუთრებით უნდა მოერიდოს ისეთი დიდი ცოდვების ჩადენას, როგორიცაა ალკოჰოლური სასმელები, აზარტული თამაშე-

ბი, მრუშობა, ნარკოტიკები და სხვა. ხოლო თუ ახალგაზრდა ადამიანი ეშმაკის მცდელობის შედეგად შეცდება და ამ ტიპის ცოდვებში მონაწილეობას მიიღებს მაშინვე გულწრფელად უნდა მოინანიოს. შესაბამისი სასჯელისთვისაც ისევ და ისევ ღმერთს უნდა მიეკედლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ცხოვრების მანძილზე ღმერთის წინაშე ცოდვილი იქნება.



ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანი როცა ცოდვას სჩადის ფიქორბს, რომ ეს ცოდ-

ვა არ მიეტევება და ამის გამო რწმენის მიმართ საერთოდ ცივდება. ამ დროს ის იმ კეთილ ზნესა და ქცევებსაც კარგავს რაც მას გააჩნდა. ამის შემდეგ მოდის ის სავალალო მომენტი რასაც სუიციდური აზრი ჰქვია და ადამიანი თვითმკვლელობაზე იწყებს ფიქრს. თუმცა, ჩვენი სარწმუნოების მიხედვით ამგვარი ფიქრი მცდარია. ადამიანმა რაცარუნდა ის ცოდვა ჩაიდინოს, მისთვის მონანიების კარები ღიაა.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მონანიების გადადებაც და იმის თქმა, რომ მოგვიანებით მოვინანიებთ კონკრეტულ ცოდვას, ასევე მიუღებელი და მცდარი შეხედულებაა.

4. „თევექქული-სასოება“

როდესაც ადამიანი რაიმე საქმეში წარმატებისათვის ყველაფერს იღონებს, შესაძლებლობის მიხედვით ყველაფერს გაითვალისწინებს და ამის შემდეგ შედეგს ღმერთისგან დაელოდება ეს არის „თევექქული.“

ახალგაზრდების პრობლემებთან დაკავშრებული საკითხების განხილვისას თევექქულის სწორად გაგებას ახალგაზრდობის წლებშ შესაძლო პრობლემების თა-

ვიდან ასაცილებლად მნიშნელოვანი როლის თამაში შეუძლია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ახალგაზრდობის პერიოდში ადამიანი მრავალი სახის ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ ექცევა და ამგვარი ნეგატიური ფაქტორები მის სულიერ მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ეს კი თავის მხრივ სუიციდური აზრის წარმოშობას უწყობს ხელს. მაგალითად, მოზარდს სკოლის დამთავრების შემდეგ მომავლის პროფესიის არჩევის მიზნით გამოცდის ჩაბარება უწევს. ამ გამოცდისთვის მზადებას რამოდენიმე წლით ადრე იწყებს და საკმაოდ შრომატევადი პროცესია. ადამიანს ამ დროს სწორი მიდგომები და სწორად გათვლილი პროგრამა სჭირდება. მთელი ამ პროცესისი განმავლობაში ადამიანი გარკვეულ შფოთვას განიცდის. რომ ჩავიჭრა, რა მოხდება ნეტა? რას იტყვიან მეგობრები და მშობლები? და სხვ. ამგვარი შფოთვა ადამიანის სტაბილურ განწყობას არღვევს და წარმატებული სწავლისათვის შექმნილ პროგრამის მიხედვით სწავლას ხელს უშლის. ამ მდგომარეობაში ადამიანი მუდმივად უნდა ეცადოს, რომ ამ უნიადაგო შფოთვას ადგილი არ მისცეს და მთელი კონცენტრაცია მისაღწევი მიზნისკენ მიმართოს.

თევზეაქტულის გაგება ახალგაზრდას ეხმარება უფრო სისტემატიური და სტაბი-

ლური მეცადინეობა წარმართოს. ის მიზანმიმართულად და მიზნის შესაბამისად მეცადინეობს და შედეგს ღმერთისგან ელოდება. ხდება ისეთი შემთხვევებიც, რომ მიუხედავად სწორი და თანმიმდევრული მუშაობისა, მიუხედავად დიდი შრომისა და მცდელობისა, ადამიანი მაინც წარუმეტებლად გადის გამოცდაზე და იჭრება.



თევზეაქულის გაგება კი ადამიანს ეხმარება ამ ფსიქოლოგიური წნეხის გაძლებაში და ის ამბობს: „რას ვიზამთ, მე რაც შემეძლო გავაკეთე, ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ

ვერ ცავაბარე. გამოდის რომ ღმერთს ასე ჰქონია გადაწყვეტილი“.

თევზაჭულის გაგება ადამიანს ახალი მიზნების დასახვაში დაეხმარება. ის იოლად შეძლებს ახალი შესაძლებლობებისა და მიმართულებების აღმოცენას და ცხოვრებას ისე გააგრძელებს, რომ ღმერთთან კავშირს მუდმივად შეინარჩუნებს.

5. მოთმინება

მოთმინება ზოგადად ახალგაზრდებისათვის ჩვეული დამახასიათებელი თვისება არ გახლავთ. თუმცა, ახალგაზრდებმა ერთხელაც რომ მოთმინებით რაიმე საქმეშ წარმატებას მიაღწიონ, მიხვდებიან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოთმინება ცხოვრებისთვის ბრძოლაში.

მოთმინება, თვითმკვლელობის პოტენციალის მატარებელი მრავალი პრობლემის საწინააღმდეგო საშუალებაა.

მოთმინება ეს არ არის ზოგიერთი მოვლენის მიმართ ზერელე დამოკიდებულება ან სიზარმაცის გამო რეაქციის გარეშე დარჩენა.

მოთმინება, ეს არის პრობლემების დროს გაძლება და წინასწორობის შენარჩუნე-

ბა, ყველა ნეგატიურის პოზიტიურად გარდაქმნისთვის ბრძოლა და ღმერთის იმედით ტკივილების გულში ჩაკვლის ძალა. გამომდინარე აქედან, მოთმინება ცხოვრების მიმართ გულგრილობას კი არ ნიშნავს, არამედ მასთან უფრო მეტად დამაახლოებელი მოვლენაა.

გარდა ამისა, მოთმინება ეს არის იმ პრობლემების დადებითად გადაწყვეტისთვის საკმარისი დროის გამოყოფა, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანს აწუხებს.

ყურანში მოთხრობილია წმ. შუამავალ ეუბის ამბავი და ის მოთმინების მაგალითადაა მოხსენიებული. წმ. ეუბი წარმოუდგენელ მოთმინებას იჩენდა და ამისათვის ღმერთმა ის შესაბამისად დააჯილდოვა.

დასასრულს

ცხოვრების ყველა ეტაპზე არსებობს მისთვის დამახასიათებელი თვისებები, პრობლემები და დადებითი მოვლენები. ჩვენი სარწმუნოება ისლამი ყოველმხრივ აღჭურვილია იმ თვისებებით, რომლებიც ცხოვრებას გაგვილამაზებს. ახალგაზრდობის პერიოდს კი თავისი პრობლემები გააჩნია. მუსლიმი ახალგაზრდა ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე მაგალითად წმ. შუამავალ მუჰამმედს უნდა იღებდეს და მის მიერ ნაკარნახევი გზით უნდა დადიოდეს.

ისლამის რწმენა, რომელიც ღმერთის, საიქიოს, ბედისწერის და ა.შ. რწმენას გულისხმობს და ამასთანავე გააჩნია ისეთი პრინციპები, როგორიცაა თევზქჭული, მონანიება,მოთმინება და სხვა,ეს ყველაფერი ახალგაზრდული პრობლემების დადებითად გადაჭრის საკითხში დიდი მნიშვნელობის მატარებელია და ხელს უშლის ახალგაზრდების ისეთ საგანგაშო პრობლემას რასაც თვითმკვლელობა ეწოდება. სწორედ

რწმენაა ის ფაქტორი, რომელიც ახალი საშუალებების და მიზნების კარებს გაგვიღებს.

ისლამის მიხედვით ჩვენი სიცოცხლე ჩვენზე მობარებული ამანათია და ის ღმერთმა მოგვაბარა. ასევე ჩვენზე მობარებული ამანათია ჩვენი სხეულიც. ამ სხეულისა და სიცოცხლის დაცვა ყოველი ადამიანისთვის დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა.

ღმერთი, ყურანის აიათებში კატეგორიულად გვიკრძალავს თვითმკვლელობას. ისლამის სწავლულების აზრით მვითმკვლელობის ჩამდენი ადამიანი მორწმუნედ ითვლება თუ ურწმუნოდ გაურკვეველია და ის ღმერთსა და მის მონას შორის არსებული საიდუმლოა. გამომდინარე აქედან, ისლამის სწავლულების აზრით თვითმკვლელობის შედეგად გარდაცვლილი ადამიანის მუსლიმთა სასაფლაოზე დასაფლავება შეიძლება და ასევე შეიძლება მიცვალებულის ნამაზის აღსრულებაც.